თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3465371

ნომერი: AR1530017

თარიღი : 04.08.2017

გაცემის თარიღი : 17.08.2017

გაცნობის თარიღი : 25.08.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ტ.ტაბიძე , N 49 / ქალაქი თბილისი , ტ. ტაბიძის ქ. N49-ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლელა ბოცვაძე პ/ნ 01008029755
- თბილისი დარიალის შეს. N 8

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1530017 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ. თბილისში, ტაბიძის ქ. #49 / ტაბიძის ქ. #49-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.14.11.026.022) ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდას და ითხოვთ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2015 წლის 29 ივლისის #2028848 ბრძანებით ქ. თბილისში, ტაბიძის ქ. #49 / ტაბიძის ქ. #49-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.14.11.026.022) დადგინდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის.

“ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს” 2015 წლის 11 ივნისის #25 სხდომის დასკვნის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 1 ივლისის #2976 ბრძანების საფუძველზე ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ტ. ტაბიძის ქ. #49/ ტ. ტაბიძის ქ. #49–ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისათვის (საკადასტრო კოდი: #01.14.11.026.022), ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის საკითხმა მიიღო დადებითი შეფასება და კოეფიციენტი განისაზღვრა კ1=0,6-ით და კ2=2,7-ით. (სამსახურის 06.07.2015წ. #1963768 წერილი)

2015 წლის 27 ნოემბერს #2315393 ბრძანებით ზემოაღნიშნულ მისამართზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.14.11.026.022) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. 2015 წლის 15 დეკემბერს #2338813 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა.

2016 წლის 22 იანვრის #2383071 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი – ვაკე, ტ. ტაბიძის ქუჩა, #49 / ქ. თბილისი, ტ. ტაბიძის ქ. #49-ის მიმდებარედ, შპს "MK Development"-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი #01.14.11.026.022), შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

2017 წლის 3 აგვისტოს #AR1528962 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე მიხეილ კუჭავამ და მოითხოვა ქ.თბილისში, #01.14.11.026.022 საკადასტრო ერთეულზე კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა, რომლის საფუძველზეც სამსახურში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და წარმოების ჩატარებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

დამატებით გაცნობებთ, რომ აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთების საკადასტრო კოდების მითითების შემთხვევაში.